ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 07.05.2013 სხდომის

ოქმი №4

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან - 18

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტის კორექტირების შესახებ
   მომხსენებელი: ს. კაპანაძე
2. თსუ-ის ინტერდისციპლინური ცენტრის საბჭოში წარმომადგენლის არჩევა
   მომხსენებელი: ნ. მაჭარაშვილი
3. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
   მომხსენებელი: ს. კაპანაძე
4. ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის წარმოდგენილ პროექტთა განხილვა:

   1). სტუდენტთა მივლინების დაფინანსების წესის შესახებ
   2). თარგმნითი სამუშაოების შესახებ
   3). კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ
   4). განვითარების კოლეგიის შექმნის შესახებ
   5). ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შესახებ
   მომხსენებელი: ს. კაპანაძე

მოისმინეს: 1. **ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტის კორექტირების შესახებ**
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის სერგი კაპანაძის პრეზენტაცია

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. მაჭარაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტში (ოქმს თან ერთვის). კერძოდ, გაიზარდოს:
   I. მოწვეულ სპეციალისტთა (ლექტორთა) ანაზღაურების თანხა 150.000 ლარით, 350,150 ლარამდე

II. პროფესორთა მივლინების თანხები 17,000 ლარით, 76,700 ლარამდე

III. სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვ. მონაწილეობის დაფინანსების ხარჯები გაიზარდოს 33,000 ლარით, 71,200 ლარამდე

მოისმინეს: 2. **თსუ-ის ინტერდისციპლინური ცენტრის საბჭოში წარმომადგენლის არჩევის შესახებ** მოხსენება გააკეთა ცენტრის დირექტორმა ნ. მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ რ. ჯორბენაძემ, მ. გერსამიამ და სხვ.

დაადგინეს:

1. თსუ-ის ინტერდისციპლინური ცენტრის საბჭოში ფაკულტეტიდან წარმომადგენლად არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი ლალი სურმანიძე

მოისმინეს: 3. **თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ** ალექსანდრე კვიტაშვილის წერილი (№459/01-01-10-01; 16.04.2013, ოქმს თან ერთვის) დამსწრეთ გააცნო ს. კაპანაძემ

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ, თ. გაგოშიძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის საბჭო ეთანხმება აკადემიური საბჭოს დადგენილებაში დამატების შეტანას სრული პროფესორის მესამე ვადით არჩევის შემთხვევაში 65 წლის ასაკამდე უვადოდ არჩევის შესახებ

მოისმინეს: **4.ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის** წარმოდგენილ **პროექტთა** განხილვა: (1) სტუდენტთა მივლინების დაფინანსების წესის შესახებ, (2) თარგმნითი სამუშაოების შესახებ, (3) კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, (4) განვითარების კოლეგიის შექმნის შესახებ, (5) ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შესახებ.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ს. კაპანაძემ საბჭოს წევრებს შესთავაზა რამდენიმე პროექტის განხილვა, რომლებიც წინასწარ ელ-ფოსტით დაეგზავნათ საბჭოს წევრებს

პროექტების წარმოდგენისას აღინიშნა, რომ განსაკუთრებით სასწრაფოა სტუდენტთა მივლინების დაფინანსების წესის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ს. კაპანაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს თხოვა წერილობით მიაწოდონ მოსაზრებები აღნიშნულ წესთან დაკავშირებით, რათა ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე მოხდეს მისი დამტკიცება.

სხვა პროექტების განხილვა გადაიდო ფაკულტეტის საბჭოს შემდგომი სხდომებისთვის.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ს. კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ო. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი